საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქ. ბათუმი 19 ივნისი, 2020 წელი

ბრძანება № 01-02/60

ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიულ მზადების) პროგრამებზე ,,თერაპიული სტომატოლოგია", სპეციალიზაციის კურსის პროგრამაზე ,,ბავშვთა და მოზარდთა თერაპიული სტომატოლოგია" და გადამზადების პროგრამაზე ,,ორთოპედიული სტომატოლოგია" მიღების გამოცხადების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომ განათლებაში (პროფესიულ მზადებაში) მონაწილეობის, მისი წარმართვისა და შეფასების წესისა და იმ სამედიცინო დაწესებულებების ან/და სასწავლებლების აკრედიტაციის კრიტერიუმების და წესის დამტკიცების შესახებ, რომლებშიც შესაძლებელია დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) კურსის გავლა", საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 8 აპრილის №135/ნ ბრძანების, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს უფროსის მოადგილის წერილის, (№02/25719 16.05.2019წ.) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანების მოთხოვნებთან შესაბამისობის 2020 წლის 11 ივნისის №0330 შემოწმების აქტის სტომატოლოგიის დარგგობრივი დეპარტამენტის ხელმძღვანელის, მ. ბაქრაძის MES 7 20 00483362 18/06/2020 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს მისაღები კონკურსი ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიულ მზადების) პროგრამებზე ,,თერაპიული სტომატოლოგია", სპეციალიზაციის კურსის პროგრამაზე ,,ბავშვთა და მოზარდთა თერაპიული სტომატოლოგია" და გადამზადების პროგრამაზე ,,ორთოპედიული სტომატოლოგია" მიღების მიზნით.

2. კონკურსანტთა განცხადებები და საბუთები წარმოდგენილი იქნეს ბსუ–ს კანცელარიაში, 2020 წლის 19 ივნისიდან 2020 წლის 26 ივნისის ჩათვლით, 10სთ–დან 17სთ–მდე.

3. რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების), სარეზიდენტო, გადამზადების, სპეციალიზაციის პროგრამებზე ჩარიცხვა განხორციელდეს აკრედიტაციით დადგენილი კვოტის ფარგლებში:
ა) სარეზიდენტო პროგრამა - ,,თერაპიული სტომატოლოგია" (კვოტა -5 ადგილი);
ბ) გადამზადების პროგრამა - ,,ორთოპედიული სტომატოლოგია" (კვოტა - 1 ადგილი);
გ) სპეციალიზაციის პროგრამაზე - ,,ბავშვთა და მოზარდთა თერაპიული სტომატოლოგია" (კვოტა - 5 ადგილი).

4. კონკურსანტთა რაოდენობა თუკი გადააჭარბებს მისაღებ ადგილებს (კვოტას), საუკეთესო გამოვლინდეს შესაბამის სპეციალობაში ჩატარებული ტესტირების შედეგად.

5. გამარჯვებული კონკურსანტების შესაბამის პროგრამაზე ჩარიცხვის ბრძანება გამოცემული იქნეს კონკურსის შედეგების შესახებ პროგრამის ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი დასკვნისა და სპეციალობის მაძიებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე.

6. ბრძანება საჯარო გამოცხადების მიზნით გამოქვეყნდეს ბსუ–ს ოფიციალურ ვებგვერდზე, ასევე განთავსდეს კანცელარიასთან და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანატთან არსებულ საინფორმაციო დაფებზე.

7. დაევალოს ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სტომატოლოგიის დარგობრივ დეპარტამენტს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების შესაბამისი განცხადების დადგენილ ვადაში ბსუ-ს ვებგვერდზე განთავსების მიზნით საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურისათვის წარდგენა (web@bsu.edu.ge).

8. ბრძანება სახელმძღვანელოდ და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ–ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს: საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.

9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი ზუბალაშვილის ქ.№30),მისი გაცემის დღიდან ერთი თვის ვადაში.

10. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

რექტორის მოადგილე თ. სირაძე